



აღწერა

საგრუნტავი აკრილის ემულსიის ფუმეზე სილიკონის დანამატით, ზედაპირს ანიჭებს დამატებით ჰიდროსაიზოლაციო თვისებებს, აქვს კარგი გამტარობა, ამცირებს ზედაპირის აბსორბციას, გამოიყენება სილიკონის შემცველი მოსაპირკეთებელი მასალების ქვეშ.

გამოყენების სფერო

- ბეტონი, ბათქაში, თაბაშირის ზედაპირები, მსგავსი ფოროვანი ზედაპირები მაღალი აბსორბციით, ასევე ადრე შეღებილი ზედაპირები და ზედაპირები ემულსიური საფარით.

თავისებურებები

- სილიკონის წყალბით ღრმად აღწევს შიგნით და ამცირებს ზედაპირის აბსორბციას.
- ახასიათებს მაღალი გაუმჟვრობა.
- ავსებს მიკროზარებს და იჭერს აქერცილი ნაწილაკებს, ქმნის მდგრად ზედაპირს მოსაპირკეთებელი მასალის შემდგომი გამოყენებისთვის და ზრდის მის შეჭიდულობას ზედაპირთან.
- არ შეიცავს გამხსნელს, იხსნება წყალში და ამიტომ არის უსუნო და უსაფრთხო ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

გამოყენების ინსტრუქცია

- გაწმინდეთ ზედაპირი მტვრის, ჭუჭყის, ზეთისა და საღებავის ძველი, ამოზრული ფენისგან, სუფთა და მყარ მდგომარეობამდე.
- ძველი სინთეტიკური საღებავით შეღებილი ზედაპირები უნდა კარგად გაიწმინდოს ზუმფარის ქაღალდით და გასუფთავდეს წარმოქმნილი მტვრისგან.
- ბზარების შევსებისა და ზედაპირის გასწორებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ აკრილის თხელი/სქელი საგოზავი "Kale INCE / KALIN AKRILIK MACUN" ან "Kale MACUNART" ან "Kalekim TAMIRART".
- SALISTAR გახსნით მაქსიმუმ 10% სუფთა წყლით, დაატანეთ ზედაპირს ფუნჯით, ლილვაკით ან საფრქვევლით 1 ფენად.

გაფრთხილებები

- გამოყენების პროცესში და შემდეგი 24 საათის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა შენობაში და შესაღებ ზედაპირზე არ უნდა იყოს 5°C-ზე ნაკლები.
- არ გამოიყენოთ ძალიან ცხელ ამინდში, მზის პირდაპირი სხივების ქვეშ, ძლიერი ქარის, ნისლის, მაღალი ტენიანობის და წვიმის შემთხვევაში.
- ძალიან ცხელი ზედაპირები უნდა წინასწარ დაატენიანოთ.

შეფუთვა

- 2,5 ლ, 7,5 და 15 ლ პლასტმასის სათლები
- 2,5 ლ სათლები ორ-ორად შეფუთულია ფირში.



5335 Silastar

ტექნიკური მახასიათებლები

(23°C და 50% ფარდ. ტენიანობის პირობებში)

ზოგადი მონაცემები

შემადგენლობა	აკრილის ემულსია
ფერი	თეთრი და 19 სხვადასხვა ფერი. იღებება კოლერირების სისტემის მეშვეობით.
სიმკვრივე	დაახლოებით 1.51გ/სმ ³
გამხსნელი	წყალი

ინფორმაცია გამოყენებისთვის

სამუშაო ტემპერატურა გაშრობის დრო	(+5°C) - (+35°C) მოსაპირკეთებელი მასალის დატანებამდე საჭიროა დაელოდოთ 6 საათი. ჰაერის უფრო დაბალი ტემპერატურა და შეფარდებითი ტენიანობის უფრო მაღალი პროცენტი ზრდის გაშრობის დროს.
ხარჯი	ზედაპირის სიმქისისა და აბსორბციის მიხედვით, საშუალოდ 0,090 კგ/მ ² ერთ ფენაზე.
საჭირო ხელსაწყოები	ფუნჯი, ლილვაკი, საფრქვეველი
გამოყენების ტემპერატურა	(-30°C) - (+80°C)

აქ მოცემული გამოყენების ყველა რეკომენდაცია და ინსტრუქცია ეფუძნება ჩვენს გამოცდილებას. კომპანია არ არის პასუხისმგებელი გამოყენების ყველა ფორმაზე, რომელიც დაკავშირებულია პროექტის პირობების ცვლილებასთან. აქ რეკომენდებული მეთოდები არ ათავისუფლებს მომხმარებელს პროდუქტის შესაბამისობის დადგენის პასუხისმგებლობისაგან, პროექტის დეტალების გათვალისწინებით.